



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 14 თებერვალი

დისციპლინური საქმე №204/19-1

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №204 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 დეკემბრის №506/204-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა -- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №204 საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 დეკემბრის №507/204-03 წერილით, განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მსჯავრდებულ -- -- მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების კანონიერებას.

1.2. -- -- ბრალდების სს საქმეზე საჩივრის ავტორის მოსაზრებით მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის საპროცესო ვადა.

1.3. მოსამართლე მხარეებთან შეთანხმების გარეშე აგრძელებდა სასამართლო სხდომებს არასამუშაო საათებში. -- -- არსებითი განხილვის სხდომებს ნიშნავდა დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში. უმეტეს შემთხვევაში სხდომა არასდროს იწყებოდა დანიშნულ დროს. საპატიმრო საქმეს იწყებდა 18:00 საათზე, როცა ბრალდებული საპატიმროდან 13:00 საათზე იყო გამოყვანილი.

1.4. -- -- დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადები. მოსამართლემ მსჯავრდებულ -- --, რომელიც სარგებლობდა თარჯიმნით პროცესებზე, ქართულ ენაზე დაწერილი განაჩენი გაუგზავნა.

1.5. მოსამართლე -- -- იყო მიკერძოებული. იგი უკანონოდ ერეოდა მოწმის დაკითხვაში.

1.6. მოსამართლე ირონიითა და ხელის აქნევით გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას დაცვის მხარის მიმართ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2018 წლის 12 ოქტომბერს.

2019 წლის 7 თებერვლის განაჩენით -- რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორის -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, დამტკიცდა სტაჟიორ-პროკურორ -- -- და ბრალდებულებს -- -- და -- -- შორის 2019 წლის 7 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმება.

აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა მსჯავრდებულ -- -- ადვოკატის -- -- მიერ.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველის, ადვოკატ -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა. -- საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 07 თებერვლის განაჩენი -- -- მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, დარჩა უცვლელი.

3. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- -- მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება უკანონოა, მსჯავრდებულ -- -- და პროკურორს შორის საპროცესო შეთანხმება დადებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, იგი შეყვანილი იქნა შეცდომაში, მას არ ჰქონია საპროცესო შეთანხმების ოქმის შინაარსის გაცნობისა და გაანალიზების დრო და საშუალება, მსჯავრდებულ -- -- გაცნობიერებული არ ჰქონდა ყველა ის გარემოება და პირობა, რასაც ითვალისწინებდა საპროცესო შეთანხმება და გაუთვითცნობიერებლად მოაწერა მასზე ხელი.

საქართველოს სსსკ-ის 45-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

საქართველოს სსსკ-ის 210-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

საქართველოს სსსკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

ამავე კოდექსის 212-213 მუხლებით განსაზღვრულია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა და სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღების წესი.

-- საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მიზნით სასამართლო განხილვა დაცვის მხარის შუამდგომლობით არაერთხელ გადაიდო. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ -- -- წარდგენილ ბრალდებაში თავს სრულად ცნობდა დამნაშავედ, აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს და ითხოვა მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება. 2019 წლის 7 თებერვლის საპროცესო შეთანხმების შეთავაზების ოქმში მანვე შესთავაზა პროკურორს საპროცესო შეთანხმების პირობები.

ბრალდებული -- -- ინტერესებს საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს იცავდა ადვოკატი -- --.

ბრალდებულ -- -- მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას ბრალდებულს არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია საპროცესო შეთანხმების ოქმში მითითებულ პირობებთან დაკავშირებით. 2019 წლის 7 თებერვლის სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ -- -- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე გასცა დამარწმუნებელი პასუხები და დაადასტურა, რომ ეთანხმებოდა საპროცესო შეთანხმების პირობებს; მასსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა იყო ასახული საპროცესო შეთანხმების ოქმში, რომელსაც გაეცნო და ისე მოაწერა ხელი; საპროცესო შეთანხმება დადებული იყო ნებაყოფლობით, იძულების, მუქარის, წამების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო ქმედების და უკანონო დაპირების გარეშე; ის და მისი ადვოკატი სრულად იცნობდნენ საქმის მასალებს, აცნობიერებდა და ეთანხმებოდა სასჯელის პირობებს.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი პროცესი ამ კუთხით შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე ხორციელდება, რის გამოც, საკითხზე მსჯელობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. კერძოდ, სასამართლო განაჩენის კანონიერება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

1. -- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №204 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ მსჯავრდებულ -- -- მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №204 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი